



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



9109/3-81/21 2 02092021

9109/3-81/21

02-09-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის
რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია, კორონავირუსით სიკვდილიანობის შემთხვევების
შემცირების უზრუნველსაყოფად, ხდება თუ არა გარდაცვალების შემთხვევების
ინდივიდუალური კვლევა და ანალიზი. ამგვარი კვლევის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ,
მომაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030145478445821

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/16887

29 / ოქტომბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული თქვენი წერილის (N31293) პასუხად, რომელიც შეეხება საქართველოში covid-19-ით გამოწვეული დაავადებით გარდაცვალების შემთხვევების კვლევისა და მათი ანალიზის განხორციელების საკითხს, გაცნობებთ, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ბრძანების საფუძველზე „სააგენტო სწავლობს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხს“, დაწესებულებაში არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

პანდემიის დაწყებიდან დღემდე, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ covid-19-ით გამოწვეული დაავადებით გარდაცვლილი პაციენტისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლა დაიწყო სულ 29 პაციენტის შემთხვევაში, შესწავლის პროცესი გრძელდება უწყვეტად.

ასევე გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით საერთაშორისო ფონდი კურაციოს განხორციელებით ჩატარდა კლინიკური ტრენინგი ექიმებისთვის სადაც, ტრენინგის მასალები მომზადდა, ანონიმურობის დაცვით, ლეტალური გამოსავლის მქონე პაციენტის სამედიცინო ბარათის მიხედვით.

პატივისცემით

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად



თამარ გაბუნია